პროექტი
სასწავლო ლაბორატორიები თანაბარი უფლებებისთვის (CIF -2023-04)

შეხვედრების ბაღი

ვინ ვართ
ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ასაკით, სქესით, ეთნიკური წარმომავლობით, გარეგნობით, ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობებით, განათლებით, რელიგიით. ჩვენც განსხვავებულები ვართ, მაგრამ საქმე გვაერთიანებს. ვცდილობთ ადამიანებს მივცეთ შესაძლებლობა, უსაფრთხოდ გაუზიარონ ერთმანეთს განსხვავებული შეხედულებები და ფანტაზიები.

ჩვენი მიზანი
ცხოვრობთ როგორც სტუდენტი? შვილი? მეგობარი? მაგრამ თქვენს შინაგან სამყაროს იქნებ უფრო მეტი როლის აღმოჩენა სჭირდება? მაგალითად, მოსიყვარულის, მებრძოლის ან იქნებ მმართველის? არსებობს როლების რეპერტუარი, რომლებიც საკაცობრიო ისტორიაში მნიშვნელოვნად ითვლება და ყველას შეგვიძლია ვიტვირთოთ ისინი. „შეხვედრების ბაღი“ ქმნის ფიზიკურად და ფსიქო-სოციალურად პოზიტიურ, ეკოლოგიურ გარემოს, სადაც სტუმრების მცირე ჯგუფებს (12-15 მონაწილე) შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაერთონ ჯგუფურ ფსიქოლოგიურ მუშაობაში ახალი შინაგანი რესურსების აღმოსაჩენად.

რას ვაკეთებთ
სამუშაო მეთოდი იყენებს ჯგუფური შეხვედრების წარმართვის სახელოვნებო ტექნიკებს (დრამა, ვიზუალური არტი, პოეზია და სხვ.) ცხოვრებისეული თემების პიროვნული გააზრებისთვის. გთავაზობთ ღია ცის ქვეშ (კარგ ან ცუდ ამინდში) შეხვედრებს დასამახსოვრებელი გართობისა და ფიქრების გულახდილად გაცვლისთვის.

სხვა სამომავლო საქმიანობა
ჩვენი სამომავლო საქმიანობა ვერ განისაზღვრება თქვენი მონაწილეობის გარეშე. თითოეული მოსული სტუმარი გვიტოვებს თავის აზრებს და გრძნობებს და ჩვენ მათ ძალიან ვაფასებთ ჩვენი სამომავლო გეგმების დასანახად.

შეხვედრის ადგილი:

ი. ჭავჭავაძის გამზ. N34, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, C კორპუსის ღია ტერასა
https://learninglabs.iliauni.edu.ge/
learninglabs@iliauni.edu.ge

WORLD BANK GROUP